ახალი ხარაგაული

№428 (2) 22 თებერვალი, 2021 წ.

კობა ლურსმანაშვილმა ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა

ხარაგაულის მერიაში ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი ხელმძღვანელობდა. თათბირზე მერმა მოადგილეებთან ერთად რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა.

საუბარი შეეხო „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ დაწყებას, რაზეც კობა ლურსმანაშვილმა წარმომადგენლებს მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებისკენ მოუწოდა.

„საპროექტო წინადადების შემუშავებაში ადგილობრივებს სრული თავისუფლება მიეცით, მოსახლეობამ თავად უნდა გადაწყვიტოს, რისი გაკეთება სურს, თუმცა, თქვენ ვალდებული ხართ, არჩევანის გაკეთებაში მიეხმაროთ, პრიორიტეტები შეაშველოთ. გაითვალისწინეთ, რომ საერთო კრებებზე წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივების მიერ კოორდინირებულად და გუნდურად მიღებული სოფლისთვის საჭირო პროექტები“, -აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

მერმა ასევე მიწის რეგისტრაციისა და მიწაზე საკუთრების აღიარების საკითხები მიმოიხილა და წარმომადგენლებს მოუწოდა, ნებისმიერი გადაწყვეტილება კანონის ფარგლებში მიიღონ. კობა ლურსმანაშვილმა ამ საკითხზე სრული კონტროლი წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილებას დაავალა.

შეხვედრაზე განიხილეს სოფლებში არსებული გამოწვევები, ისაუბრეს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. აღინიშნა, რომ წინა წლებში დაუსრულებელი პროექტები აუცილებლად დასრულდება და ზოგიერთი მათგანი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე ხარაგაულში მოქალაქეებს შეხვდა

ხარაგაულში საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, პაატა კვიჟინაძე იმყოფებოდა, რომელიც მუნიციპალიტეტის მერს, კობა ლურსმანაშვილს, მერის მოადგილეებსა და სამსახურის უფროსებს შეხვდა.

შეხვედრაზე რამდენიმე აქტუალური საკითხი განიხილეს.

საუბარი შეეხო ინფრასტრუქტურულ პროექტებს, კერძოდ ყურადღება გამახვილდა იმ გზების რეაბილიტაციაზე, რომელთა შესრულებაც წინა წლებში, გარკვეული მიზეზებით, გაჭიანურდა.

კობა ლურსმანაშვილის ინფორმაციით, წელს დაფინანსებული 15 პროექტიდან სწორედ ასეთი პროექტების დასრულებას მიენიჭა პრიორიტეტი. „ახლახან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მაჟორიტარი დეპუტატის ერთობლივი მუშაობით მოხდა ახალი გეგმის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წელს, დამატებით კიდევ ოთხი გზის მშენებლობა განხორციელდება და ეს ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მოხდება“, -აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

შეხვედრაზე ისაუბრეს სტიქიის სალიკვიდაციო თანხების მობილიზებაზე. გაჟღერდა ინფორმაცია, რომ სტიქიის ფონდიდან პირველ ეტაპზე მილიონ ლარზე მეტი თანხა გამოიყოფა, რომლითაც ლეღვნის თემში რამდენიმე პროექტი, ხოლო დაბა ხარაგაულში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე საყრდენი კედლის მოწყობა დაფინანსდება.

მიმოიხილეს ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზის მშენებლობის საკითხი. აღნიშნულ თემაზე საუბრისას ხარაგაულის მერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უახლოეს

მომავალში მოხდება მშენებელ კომპანიასთან შეხვედრა და დაზუსტდება კონკრეტული დეტალები - როდის და რა ლოკაციებზე განახლდება გზის მშენებლობა, რადგან, როგორც ხარაგაულის მოსახლეობისთვის უკვე ცნობილია, დაბაში წყალარინების (კანალიზაციის) სისტემა უნდა მოეწყოს და სამუშაოების განხორციელების არეალში გზის მშენებლები ვერ იმუშავებენ.

შეხვედრაზე განიხილეს ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში არსებული მდგომარეობა და განმარტეს, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკულად მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელშიც ყველაზე დიდი მომართვიანობაა და მოქალაქეებს ამ კუთხით თანადგომა სჭირდებათ. ხარაგაულში სოციალური ბიუჯეტი წელს მილიონ ლარზე მეტია.

ხარაგაულის მერი ამბობს, რომ ყველა ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე ხარაგაულის ადგილობრივი თვითმმართველობა კოორდინირებულად მუშაობს მაჟორიტარ დეპუტატთან და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ამავე დღეს საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე ბიუროში მოქალაქეებს შეხვდა და იმ გამოწვევებზე ესაუბრა, რომელიც მათი მხრიდან იქნა დაყენებული.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ ხარაგაულში 890 000 ლარი დაიხარჯება

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა 890 000 ლარი მიიღო. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები, სოფლის მოსახლეობის უშუალო ჩართულობითა და მათივე გადაწყვეტილებით, მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას მოხმარდება. პრობლემების შერჩევის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის აზრს. სწორედ ამ მიზნით ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში შეხვედრები მიმდინარეობს, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი მოადგილეებთან ერთად ესწრება.

სოფლის საერთო კრებები ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციების დაცვით, ღია სივრცეში ტარდება, რომლის დასრულების შემდეგ, შედგენილ ოქმებს განიხილავს მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური და დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს.

ამის შემდეგ, გამარტივებული შესყიდვით, დაიწყება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

აქვე გეტყვით, რომ დასაფინანსებელი პროექტებით განსაზღვრულია: სასმელი წყლისა და სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების მოწესრიგება; ნაპირსამაგრი სამუშაოები; გზებისა და ხიდების მოწესრიგება; გარე განათების ქსელის მოწყობა; სკოლების მიმდებარე ტერიტორიის, კულტურის ობიექტების, სპორტული ინფრ ასტრუქტურის, მოედნებისა და სკვერების მოწყობა და სხვა. სოფლის საერთო კრებები ყველა სოფელში ჩატარდება და თებერვლის ბოლოს დასრულდება.

ნაჩაბაღლის მოსახლეობა წყალს უწვევს ჩექიმში მიიღებს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონალური ფილიალის უფროს მამუკა ქვათაძესა და ამავე ორგანიზაციის ხარაგაულის სერვისცენტრის მენეჯერ ტარიელ ავალიშვილს შეხვდა.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებმა დეტალურად ისაუბრეს დაბა ხარაგაულის უწყვეტი წყალმომარაგების ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების შესახებ და მერთან ერთად არსებულ გამოწვევებზე იმსჯელეს.

მხარეები შეჯერდნენ, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ლეღვნის სათავე ნაგებობიდან დაბა ხარაგაულში შემომავალი წყლის სისტემის მაგისტრალის რეაბილიტაციის პერიოდში, არ მოხდეს დაბის ცენტრალური ქუჩების გადათხრა. ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა გაერთიანებული წყალმომარაგების წარმომადგენლებს სამუშაოების განსახორციელებლად ალტერნატიული გზა შესთავაზა.

როგორც ბატონმა მამუკამ განმარტა, ის უშუალოდ შეხვდება პროექტანტებს და აღნიშნულ საკითხს მათთან ერთად განიხილავს. მამუკა ქვათაძე იმედს გამოთქვამს, რომ შესაძლებელი იქნება პროექტში

ცვლილების განხორციელება, რაც საშუალებას მისცემს შემსრულებელ კომპანიას, უფრო მოკლე დროში დაასრულოს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ხარაგაულის მერმა სოფელ თეთრაწყაროს წყალმომარაგების საკითხზეც ისაუბრა და დააყენა წინადადება- ხომ არ იქნება შესაძლებელი, პროექტის დასრულების შემდეგ, მოხდეს ამ სოფლის წყალმომარაგებაც.

მამუკა ქვათაძემ მზადყოფნა გამოთქვა, რომ წყლის დებეტის არსებობის შემთხვევაში, ეს საკითხი დადებითად გადაიჭრას.

დასასრულ, კობა ლურსმანაშვილმა კოორდინირებული თანამშრომლობისათვის სტუმრებს მადლობა გადაუხადა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს.

ხარაგაულის მერის ინფორმაციით, ამ მასშტაბური პროექტის განხორციელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს მთავრობას, განსაკუთრებით კი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, ქალბატონ მაია ცქიტიშვილს, ასევე საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორს, გრიგოლ მანდარიას.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხარაგაულელებს უახლოეს მომავალში ხარისხიანი და უწყვეტი წყალმომარაგება ექნებათ და პრობლემა, რომელიც ამ დრომდე მწვავედ დგას მოსახლეობის წინაშე, აღმოიფხვრება. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, სამუშაოები აგვისტოში დასრულდება და, საერთო ჯამში, 3 916 930 ლარი დაიხარჯება. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის სოფლების წყალმომარაგებას, მერია ამ საკითხზე აქტიურად მუშაობს და ეტაპობრივად, ეს პრობლემა ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გადაიჭრება“. -განმარტა ხარაგაულის მერმა.

მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, ხარაგაულში ორი ჭაბურღილი მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება ლეღვნის სათავე ნაგებობიდან დაბაში შემომავალ 14-კილომეტრიან მაგისტრალს.

სოციალური პროგრამების ფარგლებში ხარაგაულის მერია 1 105 400 ლარს დახარჯავს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში, სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის საკითხზე, კომისიის სხდომა გაიმართა, რომელსაც მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი უძღვებოდა.

კომისიის წევრებმა დეტალურად განიხილეს და იმსჯელეს შემოსულ განცხადებებზე. როგორც აღინიშნა, მიმდინარე წლის იანვრის თვეში მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ სამსახურს დახმარების თაობაზე მოქალაქეებმა სხვადასხვა საკითხზე მიმართეს.

კერძოდ, კომისიის გადაწყვეტილებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური პროგრამების ფარგლებში ფულადი დახმარება გაიცა ახალშობილთა ოჯახებზე, ერთჯერად ფულად დახმარებას მიიღებს ასევე უკიდურესად შეჭირვებული რამდენიმე ოჯახი, თანადაფინანსება მოხდა საოპერაციო ხარჯებზე. გარდა ამისა, ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებს დაუფინანსდა მედიკამენტების შეძენის ღირებულება.

ჯამში, დაფინანსების საერთო მოცულობამ 35 000 ლარი შეადგინა.

აქვე გეტყვით, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია მიმდინარე წელს სოციალური მიმართულებით 1 105 400 ლარს დახარჯავს. ამ მხრივ მუნიციპალიტეტში 22 ქვეპროგრამა მოქმედებს.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

საქართველოს მოქალაქეებს გერმანიაში დასაქმება შეეძლებათ

გერმანიის შრომის ბაზარზე საქართველოს მოქალაქეებს დროებითი, ლეგალური დასაქმება სამი თვით შეეძლებათ. დასაქმების მიზნით რეგისტრაცია უკვე დაიწყო, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინიციატივით, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომლის მთავარი მიზანი ამ საკითხით დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის სწორად მიწოდება გახლდათ.

შეხვედრაზე მერის თანაშემწემ ჟანა ნემსაძემ დეტალურად ისაუბრა რეგისტრაციის ყველა პროცედურაზე და, საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკურ საკითხებში ნებისმიერი მოქალაქის დახმარების მზადყოფნა გამოთქვა.

მოგახსენებთ, რომ გერმანიაში დასაქმება სოფლის მეურნეობის სექტორში სეზონურ სამუშაოებზეა შესაძლებელი. სამუშაოს მაძიებელი კი პირველად რეგისტრაციას სპეციალურ სარეგისტრაციო პორტალზე https://workabroad.moh.gov.ge გადის. ასაკი 18 წლიდან 60 წლამდეა განსაზღვრული, გარდა ამისა, პიროვნება უნდა იყოს ჯანმრთელი და სასურველია საკომუნიკაციო დონეზე ფლობდეს გერმანულ ან ინგლისური ენებს.

სეზონური სამუშაოები გერმანიაში პირველი აპრილიდან დაიწყება. სამუშაო დრო გულისხმობს 5-6 დღეს კვირაში (დღეში 8-10 საათი). მინიმალურ ხელფასად კი საათში 9.50 ევროა.

გთავაზობთ ჩამონათვალს, რომელ სფეროშიც ითხოვენ კადრებს: ვაზის გასხვლა; მიწის კულტივაცია / დამუშავება; ყურძნის მოსავლის აღება; სატაცურის მოჭრა; კენკრის მოსავლის აღება (მარწყვი, მოცვი, ჟოლო და სხვა); ხილის მოსავლის აღება (ვაშლი, მსხალი, ბალი, ქლიავი და სხვა); ბოსტნეულის მოსავლის აღება (კომბოსტო, პრასი, ბოლოკი, კიტრი და სხვა); სალათებისა და სამკურნალო მცენარეების/მწვანილის მოსავლის აღება; პროდუქტის დატვირთვა, ჩამოტვირთვა და ტრანსპორტირება; პროდუქტის დახარისხება და შეფუთვა; საწყობში მუშაობა.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ, დარეკოთ ხარაგაულის მერიის ცხელ ხაზზე 0(433)223 225. ასევე, დაუკავშირდეთ ჟანა ნემსაძეს ტელ : 595 90 27 20.

თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის წარმომადგენლები მერის პირველ მოადგილეს, ვარლამ ჭიპაშვილს, შეხვდნენ

თავდაცვის ძალების პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში რეკრუტირების პროცესი მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ხარაგაულის მერის პირველ მოადგილეს, ვარლამ ჭიპაშვილს, თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის რეკრუტირების სამსახურის იმერეთის ცენტრის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. მხარეებს შორის შედგა საინფორმაციო შეხვედრა, საუბარი შეეხო ასევე თავდაცვის ძალებში დასაქმების მსურველთა საკონტრაქტო პირობებს. მერის პირველმა მოადგილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის სახით ქვეყანას ჰყავს ძლიერი თავდაცვის მინისტრი, რომელიც სათანადოდ პასუხობს ყველა გამოწვევას.

ამავე დღეს ჯარისკაცებმა შეხვედრა მოსახლეობასთანაც გამართეს და თავდაცვის ძალებში დასაქმების მსურველებს დეტალურად მიაწოდეს ინფორმაცია კონტრაქტის პირობებზე, ანაზღაურებასა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობებზე, აგრეთვე ამომწურავი პასუხები გასცეს აპლიკანტთა მიერ დასმულ კითხვებს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საკონტრაქტო სამსახურის დაწყების შემდეგ მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ, დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიას.

აქვე მოგახსენებთ, რომ საკონტრაქტო სამსახური ოთხწლიანია და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა იზრდება წოდებისა და სამხედრო სტაჟის შესაბამისად.

სოფელ ჭალაში საბავშვო ბაღი ინვენტარით აღჭურვა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ საღანძილის ახლად აშენებულ საბავშვო ბაღში ინვენტარი მიიღეს. ინვენტარის მიღების პროცესს ხარაგაულის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, ამავე თემის მაჟორიტარი დეპუტატი დავით კიკნაძე, ბაღების გაერთიანების დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი და მერის წარმომადგენელი გოგა კვინიკაძე დაესწრნენ.

ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაციით, საღანძილის საბავშვო ბაღისთვის ყველა საჭირო ინვენტარი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეიძინეს. მისივე თქმით, მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ორი სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობა დასრულდა, რომელთა დაფინანსების მოპოვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ხარაგაულის მერს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს.

„ჩვენი გუნდისთვის სკოლამდელი განათლება პრიორიტეტული მიმართულებაა. სწორედ ამაზე მეტყველებს ის, რომ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ხარაგაულში 12 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა, მათ შორის, ისეთ სოფლებში, სადაც ათწლეულების განმავლობაში სკოლამდელი განათლების დაწესებულებები არ ფუნქციონირებდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები სრულფასოვან, ადაპტირებულ და უსაფრთხო გარემოში იღებენ განათლებას“.- აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა.

პირველ ეტაპზე საღანძილის სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში ერთი ჯგუფი ამოქმედდება და 11 ადგილობრივი დასაქმდება.

აქვე გეტყვით, რომ აღნიშნული პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა და, საერთო ჯამში, 700 000 ლარი დაიხარჯა.

დაბა ხარაგაულში წყალარინების სისტემა მოეწყობა

ხარაგაულში წყალარინების (კანალიზაციის) სისტემის მოწყობა იწყება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერთან, კობა ლურსმანაშვილთან, რომელსაც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მშენებელი კომპანია „ჰიდროტექნიკური ჯგუფის“ და პროექტის შემდგენი „არქიზაინმშენის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მხარეებმა დაბა ხარაგაულის წყალარინების პროექტი დეტალურად განიხილეს და იმსჯელეს ქუჩების ეტაპობრივ დაქსელვაზე, რათა არ მოხდეს გზის დაკეტვა.

მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნებისმიერი სამუშაოს შესრულება მოსახლეობის ინტერესების დაცვითა და გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

როგორც პროექტანტები ამბობენ, საბოლოო დეტალების დაზუსტებას და ექსპერტიზის დასკვნას, დაახლოებით, ერთი თვე დასჭირდება. ამიტომ, მათი ვარაუდით, ხარაგაულში კანალიზაციის სისტემის მოწყობის პროცედურები მარტის ბოლოს დაიწყება.

„ხარაგაულისთვის ეს არის უპრეცედენტო პროექტი, რადგან დაბაში კანალიზაციის სისტემა არასდროს ყოფილა. ფაქტობრივად, ერთად განხორციელდება 24 - საათიანი წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტი, რომელთა დასრულებასაც დაუყოვნებლივ მოჰყვება დაბაში ასფალტის საფარის დაგება, რომელიც ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზის მშენებლობის ფარგლებში განხორციელდება. მინდა, ხარაგაულის მოსახლეობას ვუთხრა, რომ ეს პროცედურები არ იქნება სასიამოვნო, თუმცა ყველაფერს გავაკეთებთ, რათა გადაადგილების შეზღუდვები თავიდან ავიცილოთ“.- აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

ჩინეთის კომპანიამ ხარაგაულის მერიას საჩუქრად სამედიცინო პირბადეები გადასცა

ხევი-უბისის მონაკვეთზე (F2) ავტობანის მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებმა ხარაგაულის მერიას ერთჯერადი გამოყენების სამედიცინო პირბადეები გადასცეს.

პირბადეები პატარა ზომისაა და ის სკოლის ასაკის მოსწავლეებზეა გათვლილი. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, აქცია არ იქნება ერთჯერადი ხასიათის და გარკვეული რაოდენობის პირბადეს ჩინური კომპანიისაგან მერია უახლოეს მომავალში კვლავ მიიღებს.

ხარაგაულის მერმა ჩინური კომპანიის წარმომადგენლებს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და შემდგომი ურთიერთობებისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

კობა ლურსმანაშვილის გადაწყვეტილებით, აღნიშნული პირბადეები საჩუქრად ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეებს გადაეცათ.

ხარაგაულის მერია უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს დაეხმარება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია უკიდურესად შეჭირვებულ მოქალაქეებზე სოციალური დახმარებების გაცემას განაგრძობს.

აღნიშნული საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, ჯანდაცვისა და მერიის სოციალური დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად კიდევ ერთხელ განიხილა.

ვარლამ ჭიპაშვილის განცხადებით, პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად, მერია ამ ეტაპზე საკვებ პროდუქტებს 25 000 ლარის ფარგლებში შეიძენს. ამ თანხით, ერთჯერადად, საკვები პროდუქტების ნაკრებს 500 ოჯახი მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ მერიამ მსგავსი სოციალური აქცია წინასაახალწლოდაც განახორციელა, რომელზეც 34 000 ლარი გახარჯა და საკვები პროდუქტები 700 ბენეფიციარს გადაეცა.

ხარაგაულის მერია სოციალურად დაუცველი და პანდემიით დაზარალებული მოქალაქეებისათვის გასცემს ასევე ერთჯერად ფულად დახმარებას 100-დან 500 ლარის ფარგლებში.

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინიციატივით, მიმდინარე წლის მარტის თვიდან ერთჯერადი ფინანსური დახმარებების ლიმიტი 100 ლარიდან 500 ლარამდე გაიზარდა. ამ თანხით შევძლებთ, მძიმე სოციალური ფონის მქონე მოქალაქეებს დავეხმაროთ, შესაძლოა, ეს საკმარისი არ იყოს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში და ჩვენი ბიუჯეტის ფინანსური მდგომარეობის შესაბამისად, სოციალური აქტივობები გაიზრდება“,- აცხადებს ვარლამ ჭიპაშვილი.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

საქართველოში პირველი პოსტკოვიდური სარეაბილიტაციო ცენტრი ნუნისში ამოქმედდება

კურორტ ნუნისში საქართველოში პირველი პოსტკოვიდური რეაბილიტაციის პროგრამა ამოქმედდება, რომელიც შვეიცარიის სარეაბილიტაციო ცენტრების გამოცდილებას დაეყრდნობა. პროგრამა ითვალისწინებს 7 ან 14 -დღიან სარეაბილიტაციო და ასევე გამაჯანსაღებელ კურსს, რომელსაც პროფესორი ლერი ლაფანაშვილი უხელმძღვანელებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ვარლამ ჭიპაშვილი, მერის თანაშემწე ჟანა ნემსაძე, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ოთარ ლურსმანაშვილი და „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე პირადად იმყოფებოდნენ ნუნისში და ბალნეოლოგიური კურორტის მენეჯერს, ნინა პავლიაშვილს, შეხვდნენ.

ვარლამ ჭიპაშვილმა ადგილობრივ თვითმმართველობასა და კერძო სექტორს შორის მჭიდრო კავშირის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ხარაგაულის პოპულარიზაციისთვის, ეს ურთიერთობები უნდა იყოს ორმხრივი და ინტენსიური.

მერის პირველმა მოადგილემ შეხვედრაზე გააჟღერა მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინიციატივა, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ჩართულობით შეიმუშავა. კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის იმ ბავშვების შვიდ დღიან სარეაბილიტაციო კურსს დააფინანსებს, რომელთაც გადაიტანეს კორონავირუსი და მათთვის გამაჯანსაღებელი პროგრამა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ ბალნეოლოგიურმა კურორტმა ნუნისმა, რომელიც მაღალმთიან ზონაში, ულამაზეს ხეობაში მდებარეობს, პოსტკოვიდური სარეაბილიტაციო პროგრამის ასამოქმედებლად მაღალი შეფასება სწორედ მისი ადგილმდებარეობის გამო მიიღო.

პროგრამის ამოქმედება პირველი მარტიდან დაიწყება და ნუნისის სასტუმრო მზადაა ბენეფიციარების მისაღებად. დეტალური ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: 555 37 32 29.

ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მონიტორინგს აწარმოებს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება.

სოფელ წყალაფორეთში ბაღის უბნისა და გაბეხაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზეა.

ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი წყალაფორეთში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობას მოადგილეებთან ერთად გაეცნო.

მერმა ადგილზე მოისმინა მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, გაეცნო პროექტის შესრულების ხარისხსა და დასრულების ვადებს.

წყალაფორეთში ორი საუბნო გზის მშენებლობა, საერთო ჯამში, 2 300 მ-ზე განხორციელდა.

გარდა ამისა, ინტენსიურად მიმდინარეობს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ერეთა-დინარის დამაკავშირებელ გზაზე. ბეტონის საფარის მოწყობა გასული წლის ბოლოს დაიწყო და 2 კმ-მდე მონაკვეთის რეაბილიტაცია ორ ეტაპად გაიყო, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხარაგაულის მერის უშუალო ინიციატივით, ის პროექტები, რომლებიც გასულ წლებში დაიწყო და გარკვეული მიზეზების გამო ვერ დასრულდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება. კერძოდ, უახლოეს მომავალში ტენდერი გამოცხადდება და რეაბილიტირდება ზედუბნის, ნუნისის, ღელვან-მარელისის დამაკავშირებელი და გოლათუბნის (სხვერისა და სადგურის უბნების) გზები.

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეებს სასკოლო ავტობუსი მოემსახურება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ერთადერთი კერძო სკოლა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიაა, რომლის რექტორიც მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მეუფე მელქისედეკია (ხაჩიძე), ხოლო აღმასრულებელი დირექტორი - დეკანოზი პავლე (ცერცვაძე). პანდემიის პერიოდში სასწავლო პროცესი, საჯარო სკოლების მსგავსად, გიმნაზიაშიც დისტანციურად მიმდინარეობდა.

რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული დისტანციური სწავლება და რა რეგულაციების გატარება მოუწია სკოლის ადმინისტრაციას სასწავლო პროცესის განახლების შემდეგ, ამ და სხვა კითხვებზე დეკანოზი პავლე გვესაუბრება.

- მოგეხსენებათ, რომ პანდემიის პერიოდში საჯარო სკოლებისათვის, დისტანციური სწავლების მიზნით, შეიქმნა სპეციალური პროგრამა „თიმსი“. იქიდან გამომდინარე, რომ გიმნაზია კერძო სკოლის სტატუსს ატარებს, ზემოხსენებული პროგრამა ფასიანია, თუმცა მეუფე მელქისედეკის ფინანსური მხარდაჭერით შევიძინეთ და სწავლის პროცესი გიმნაზიაში შეუფერხებლად მიმდინარეობდა. ყოველკვირეულად ვატარებდი მონიტორინგს და განვლილ კვირას პედაგოგებთან ერთად ვაჯამებდით.

სასიხარულოა, რომ ახალ სასწავლო წელს განახლებული ინფრასტრუქტურით შევხვდით. მოწესრიგდა სველი ნერტილები და დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა. გვყავს 15 პირველკლასელი. მოგეხსენებათ, რომ კერძო სკოლის მოსწავლეებს სასკოლო წიგნები და ბუკები უფასოდ არ ეძლევათ. თუმცა მიმდინარე სასწავლო წელს მეუფე მელქისედეკმა საკუთარი სახსრებით თხუთმეტივე პირველკლასელს ბუკები და სასკოლო სახელმძღვანელოები შეუძინა. აქვე დავამატებ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები შეუძინა მეხუთეკლასელებსაც.

- რამდენიმე კვირაა, რაც სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში განახლდა. რა რეგულაციები გაატარეთ სწავლის დაწყებამდე?

- სწავლის განახლებისას რეგულაციები, როგორც განათლების, ასევე ჯანდაცვის სამინისტროდან იყო შემდეგი: დისტანცია, ჰიგიენა და თერმოსკრინინგი. მეუფის დახმარებით, ყველა რეგულაცია იქნა გათვალისწინებული, შევიძინეთ ყველა საჭირო საშუალება და ამ კუთხით ხარაგაულში ერთ-ერთი მოწესრიგებული სკოლა ვართ, ყოველივე ეს ჯანდაცვის ცენტრის მონიტორინგის ჯგუფმაც აღნიშნა.

მოგეხსენებათ, რომ საჯარო სკოლის მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება, ჩვენი მოსწავლეები კი ამ სიკეთით ვერ სარგებლობდნენ. მეუფემ შეიძინა ავტობუსი, რომელიც იმოძრავებს შემდეგი მიმართულებებით: ფარცხნალი, საღანძილე, საქარიქედი და ლაშე. ავტობუსი გიმნაზიის 200-მდე მოსწავლეს მოემსახურება. ჩვენ გვაქვს მწირი დაფინანსება და სასკოლო ტრანსპორტის ხარჯებს ეპარქია ფარავს. კარგი იქნება, თუ საწვავის შეძენაში შემოწირულობით კეთილი ადამიანები დაგვეხმარებიან.

-გვესაუბრეთ მიმდინარე წელს სკოლაში განხორციელებულ სიახლეებზე.

-პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ სკოლაში გვაქვს კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახი. სასიხარულოა, რომ წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ეზოში სპორტული მოედანი კეთდება და მოეწყობა მინის ხელოვნური საფარი, განათება და ტრიბუნები. პროექტი სამთვიანია და სამუშაოებს შპს „დოკასპორტი“ ახორციელებს.

ბოლოს მინდა, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს ვუსურვო ჯანმრთელობა და წარმატებული სასწავლო წელი.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის თეატრი 120 წლისაა

დიდი ტრადიციები და გზა სამომავლო

ძვირფასო მკითხველო!

არაერთ წერილში გამომიხატავს ჩემი გულწრფელი სიყვარული და მადლიერება დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ჩვენი სამკვიდრო ხარაგაულისა და მისი მაღალინტელექტუალური საზოგადოების იმ სანეტარო კერის მიმართ, რომელსაც ოთარ აბაშიძის სახელობის ხარაგაულის სახალხო თეატრი ჰქვია. ბუნებრივია, ყველა დიდი სიხარულით უერთდება თეატრის სახელოვან იუბილეს და მის შემოქმედებით კოლექტივს ულოცავს ხარაგაულელთა თეატრალური ცხოვრების 120 წლისთავს. თითოეული ჩვენგანი გამოხატავს ღრმა პატივისცემას იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც თავიანთი ნიჭით, ენთუზიაზმითა და საქმის სიყვარულით ხარაგაულის თეატრალური ყოფის სათავეებთან იდგნენ და ადუღაბებდნენ მის ბალავარს.

როგორც ცნობილია, ხარაგაულში თეატრალური ცხოვრება გასული საუკუნის პირველი წლებიდან იღებს სათავეს. მისი სულისჩამდგმელები იყვნენ სცენისმოყვარეები, რომელთაც 1903 წლისათვის ორი სპექტაკლი ჰქონდათ ნათამაშები, ხოლო 1908 წლისათვის მათ რეპერტუარში უკვე ხუთი სპექტაკლია. ვინ იცის, პირველ თეატრალთა რა ძალისხმევა სჭირდებოდა სპექტაკლის გამართვას-სცენას, ჩაცმულობას და ა.შ. ძირითადად წარმოდგენები სპირიდონ კიკნაძის ეზოში იმართებოდა. ამ ეტაპზე საქმის გულმხურვალე ინიციატორები იყვნენ შალვა ხარაძე და შემდეგში ცნობილი ექიმი ასკალონ ლომსაძე. მათ შემოიკრიბეს ნიჭიერი ახალგაზრდები და მოყვარულ მსახიობებთან ერთად მათ გვერდით ხშირად იდგნენ ქართული სცენის ისეთი ოსტატები, როგორებიც იყვნენ: შალვა დადიანი, მარო მდივანი, ვასო ურუშაძე, გრიგოლ ჩარკვიანი, ვასო აბაშიძე...

20-იან წლებში დასი მუშაობას რკინიგზის კლუბში განაგრძობს. მათ კლუბის გამგე ნოე აბაშიძე ხელმძღვანელობს. 30-40-იან წლებში უკვე არსებობს მუდმივმოქმედი თეატრალური დასი, რომელმაც „სახელმწიფო თეატრის“ სტატუსიც კი მოიპოვა. აქ აიდგეს ფეხი შემდგომში ცნობილმა სახალხო არტისტებმა- რეჟისორმა იური კაკულიამ და კინორეჟისორმა დევი აბაშიძემ. 1959 წელს ხარაგაულის თეატრი „სახალხო თეატრის“ წოდებას ღებულობს, რომლის პირველი რეჟისორი გახდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ოთარ აბაშიძე, ხარაგაულის თეატრის სწორედ ამ სულნათელი კაცის სახელს ატარებს. ოთარ აბაშიძემ თავისი ნიჭიერებითა და საქმის სიყვარულით არაერთი საინტერესო როლი განასახიერა სცენაზე.

1967 წლიდან თეატრს სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი მსახიობი და რეჟისორი თამაზ კიკნაძე. მან ღირსეულად განაგრძო ის საქმე, რომელსაც შემოქმედებითი ჯგუფი ახორციელებდა ივანე (ბიჭიკო) აბაშიძის ხელმძღვანელობით. ხარაგაულელთა ხსოვნაში არასოდეს წაიშლება თამაზ კიკნაძის დიდი ნიჭიერებით დადგმული სპექტაკლები:

კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, შატბერაშვილის „ფიქრის გორა“, მილორავას „სად იყო ჭკუა“, სამსონაძის „ჩემი შვილი სიმონი“, იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“, ჩხაიძის „დაბრუნება“, კლდიაშვილის „სოლომონ მორბელაძე“, ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.

2004 წლიდან თეატრის რეჟისორია ირინე ჩხეიძე. ყველა ხარაგაულელი დაგვემოწმება, რომ ქალბატონმა ირინე ჩხეიძემ, თავისი განათლებით (შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალური უნივერსიტეტი), გამორჩეული თეატრალური ხედვითა და არჩეული პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით ღირსეულად განაგრძო კულტურის ამ უთვალსაჩინოესი კერის ტრადიციები და უმალ გაიკაფა გზა მაყურებელთა გულებისაკენ. ხელხვავიანია რეჟისორი ქალბატონის „მოსავალი“, ამას ნათელყოფს სპექტაკლები: „ლექსო, არ დაიკარგები!“, გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“, ოტია იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, შარლ პეროს „წითელქუდა“, ილია ჭავჭავაძის თხზულებების მიხედვით - „თანამდევი სული“, ნიკო ფიროსმანს მიეძღვნა - „და დროც გაჩერდება..“., „შენ, სისხლო ჩემო“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ ხარაგაულელ ვაჟკაცებს, ვაჟა-ფშაველას „სათაგური“, „ბიბლიოთეკის ტყვეობაში“ - სპექტაკლი დაიდგა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მოსწავლეთა ძალებით. დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, სიმონ მჭედლიძის ცხოვრებას მიეძღვნა სპექტაკლი „ილიას კვალზე“, მაკა კუკულავას პიესის მიხედვით დაიდგა სპექტაკლი „ორნი“, ირაკლი სამსონაძის პიესის მიხედვით -„ინდაური ინდიკოს თავგადასავალი“, გურამ დოჩანაშვილის „ხორუმი ქართული ცეკვაა“. რეჟისორი ამჯერად მუშაობს რეზო კლდიაშვილის „იმერულ რეკვიემზე“.

სახალხო თეატრის სისხლსავსე, საინტერესო ცხოვრების შესატყვისია დამსახურებულად მოპოვებული აღიარება და ჯილდოები. თეატრი გამარჯვებულია ფესტივალებზე უამრავ ნომინაციაში. არის საქართველოს სახალხო თეატრების „გრან-პრის“ მფლობელი (1990წ. გურჯაანი, „დარისპანის გასაჭირი“ რეჟისორი დიმიტრი ბოგვერაძე), იმერეთის თეატრალური ფესტივალის „გრან-პრის“ მფლობელი (2012წ. „თანამდევი სული“ რეჟისორი, ირინე ჩხეიძე), თურქეთის ქალაქ ქემერის საერთაშორისო ფესტივალის „გრან-პრის“ მფლობელი; (2013 წ. „თანამდევი სული“, რეჟისორი ირინე ჩხეიძე).

რეჟისორი ირინე ჩხეიძე ღირსების ორდენის კავალერი და „თეატრის ამაგდარის” ტიტულის მფლობელია.

„-თეატრის ყველა წარმატება როგორც ქართულ სცენებზე ისე საზღვარგარეთ შემოქმედი დასისა და იმ ადამიანთა დამსახურებაა, რომლებიც სცენის მიღმა დგანან და სჭედენ მის ყოველ გამარჯვებას“. - დასძენს რეჟისორი.

***

2008 წელს ფართო დიაპაზონის მქონე რეჟისორმა ოცნება აისრულა და ჩამოაყალიბა თოჯონების თეატრი. შეუძლებელია იმ დიდი სიხარულის აღწერა, რასაც პატარა ანგელოზები განიცდიან ირინე დეიდას სპექტაკლებით. თეატრმა ექვსი სპექტაკლი აჩუქა პატარებს და ამჯერად რეჟისორი მეშვიდეზე მუშაობს, ესაა გივი ჭიჭინაძის „იისფერა“.

***

რეჟისორის სამომავლო ფიქრები, ანუ „ვსდიოთ სხვა ვარსკვლავს...“

ქალბატონ რეჟისორს კარგად ესმის, რომ ქვეყნის მომავალი ახალგაზრდობაა. „მათ საინტერესო გარემო უნდა შეუქმნა და „ნოყიერი საზრდო“ მისცე, - აღნიშნავს ქალბატონი ირინე - რათა მაქსიმალურად გამოავლინოს უფლისაგან მიმადლებული უნარ-შესაძლებლობანი. რასაკვირველია, ამჯერად თეატრალურ უნარს ვგულისხმობ.

ოპტიმისტურია ჩემი ხედვა ხარაგაულის ნიჭიერი ახალგაზრდების მიმართ. მუდამ ვცდილობდი, ჩემ მიერ განხორციელებულ

გაგრძელება ▶ გვ 4

საკრებულოს სხდომაზე მორიგი საბიუჯეტო ცვლილება მიიღეს

16 თებერვალს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა მორიგი საბიუჯეტო ცვლილება მიიღეს. საკითხი მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა წარადგინა. მისივე ინფორმაციით, „სოფლის მხარდაჭერი პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 890 000 ლარი გამოეყო, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტისათვის კი - 77 978,89 ლარი. გარდა ამისა, როგორც ვლადიმერ გელაშვილმა განმარტა, კომპანიებმა, რომლებმაც პროექტები ვერ დაასრულეს და მათზე 2018-1019 წლებში გაცემული იყო დაფინანსება-ავანსის სახით, ეს თანხა მერიის მოთხოვნის საფუძველზე, დაბრუნდა ბიუჯეტში. ასეთ კომპანიებს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულებები გაუუქმა და ტენდერები თავიდან გამოცხადდება. სულ შეწყვეტილი ხელშეკრულებების ხარჯზე 452 517,94 ლარით გაიზარდა ინფრასტრუქტურული პროექტების ხარჯი. ასევე ამ მუხლში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით მიიმართა 40,0 ათასი ლარი.

საკრებულოს სხდომას მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ესწრებოდა, რომელიც დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებს პასუხობდა.

„ყველა სამართლებრივ გზას ვიყენებთ იმისათვის, რომ ბიუჯეტიდან ავანსის სახით გაცემული თანხები უკან დავიბრუნოთ და შეჩერებული პროექტები დავასრულოთ. თავიდან უნდა გამოცხადდეს ტენდერები, რის გამოც საჭირო გახდა დამატებითი თანხების მოძიება. მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა საფინანსო სამსახურს თანხების მობილიზება დაავალა, რათა დროულად მოხდეს შეჩერებული პროექტების დასრულება“,-განაცხადა ვარლამ ჭიპაშვილმა.

საბოლოოდ, საკითხს კენჭი მუხლობრივად უყარეს და საბიუჯეტო ცვლილება დეპუტატთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის თეატრი 120 წლისაა

დიდი ტრადიციები და გზა სამომავლო

დასაწყისი ▶3 გვ.

სპექტაკლებში ჩამერთო ისინი. ამის ნათელყოფაა ვაჟა ფშაველას „სათაგური“, სპექტაკლი „ბიბლიოთეკის ტყვეობაში“ და სხვა. ეპიზოდური როლებიდან ნათლად ჩანს მათი ინტერესი და სწრაფვა თეატრალური ხელოვნებისადმი.

უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, როცა ვიგონებ ჩემი ცხოვრების ადრეულ წლებს, როცა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე სარაიონო კულტურის სახლში და ურთიერთობა მქონდა იმ ადამიანებთან, რომელთაც გამორჩეული ხელწერა დატოვეს ხარაგაულის თეატრალური ხელოვნების ისტორიაში. როცა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი, კიდევ უფრო ქმედითი გახდა ჩემი ურთიერთობა კულტურის ამ სხივნათელ კერასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც საოცარი სითბო ჩაღვარეს ჩემს სულში. არაერთხელ მითქვამს და კვლავ გავიმეორებ, რომ ეს სითბო და მადლი ასაზრდოებს მთელ ჩემს შემოქმედებითს ცხოვრებას...

მახარებს, რომ ხარაგაულის ახალგაზრდებში ჩანს შემოქმედებითი სწრაფვა და გარკვეული პოტენციალი თეატრალური ხელოვნების სიღრმე-სირთულეების ხედვისა. ყოველთვის ვცდილობ, დავეხმარო მიზანოცნებათა რეალიზებაში. ურყევად მწამს პრინციპი - „ყველაზე დიდი საქმეა, ახალგაზრდა თაობა აზიარო ხელოვნებას“ ჩემი პროფესიული საქმიანობის დაგვირგვინებად ჩავთვლი, თუ ხარაგაულში კეთილ, გულისხმიერ და ინტელექტუალ ადამიანთა დახმარებით შევძლებთ საბავშვო თეატრის დაფუძნებას. რამდენ ნიჭიერ ახალგაზრდას გაეხსნება გზა ხელოვნებისკენ, რამდენი შეძლებს საკუთარ თავში იმ ენერგიის აღმოჩენას, რაც თითქოს მიძინებულია და კეთილ ძალას ელოდება, რომ სხივებად აბრიალდეს თქვენთვის, ჩვენთვის, დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ამ ულამაზესი კუთხის უფრო გასაბრწყინებლად, გასაძლიერებლად...

დიახ, როგორც დიდი ილია ამბობდა: „ვსდიოთ სხვა ვარსკვლავს“ და მივცეთ თეატრალური ხელოვნების სფეროში მომავალი ხარაგაულის ახალგაზრდობას..“.

***

იძნეგ შევძლოთ...

ძვირფასო მკითხველო!

ხშირად მსმენია ხარაგაულის განათლებული საზოგადოების არაერთი წევრის სურვილი, რომ მისასალმებელი იქნება, თუ შევძლებთ და 120-წლიანი თეატრის სახელოვან ისტორიას ერთ დიდ ჩარჩოში მოვაქცევთ საინტერესო წიგნის სახით.

მივესალმები ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველ ნიჭიერი ქალბატონის, ეკა შველიძის, მიერ არქივებში გაწეულ რუდუნებით შრომას, რომლითაც მან უამრავი ინფორმაცია მოიპოვა სახალხო თეატრის ისტორიული წარსულიდან.

სახელოვან თეატრალებზე ზღვა მასალაა ჟურნალ-გაზეთებში, საოჯახო არქივებში, მუზეუმში და ა.შ. ბუნებრივია, მათი თავმოყრა, გაერთიანება კოლოსალურ შრომას მოითხოვს, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. კეთილ ადამიანთა დახმარებით შევძლებთ, ასეთი წიგნის გამოცემით პატივი მივაგოთ ყველა იმ ადამიანს, რომელთა მადლითა და შრომით იწერებოდა ხარაგაულელთა კულტურული ყოფის დიდებული ისტორია. ასევე დიდი მადლობა ვუთხრათ მათ, ვინც დღეს სცენიდან ალამაზებს და აფაქიზებს თითოეული ჩვენგანის სულს. წარსულის, აწმყოსა და, შესაბამისად, სამომავლო პერიპეტიების წიგნით გამოკვეთა დიდი განძი იქნება შთამომავლობისათვის.

***

ჩვენო საყვარელო თეატრალებო!

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ დიდი ილიას სიტყვებს: „სცენა საზოგადოდ და ნამეტნავად ჩვენთვის იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველი სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუას... სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს და იმისთანა შემაქცევარიც, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმევინებს, ფრთას აშლევინებს..“.

მწამს, ეს სიტყვები გზამკვლევია, ორიენტირია თითოეული თქვენგანისათვის. დაე, არ მოჰკლებოდეს 120 წლის თეატრსა და მის ნიჭიერ კოლექტივს ამ გზებით სვლა!

მერი გიორგიძე

ხარაგაულში წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე აღინიშნა

ხარაგაული წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღეს შეუერთდა. ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრი (ხელმძღვანელი მარინე ვეფხვაძე), ა(ა) იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“, საჯარო სკოლის დირექტორები, სასულიერო პირები და წიგნიერებით დაინტერესებული სხვა პიროვნებები.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა იმ დიდ მისიას, რაც წიგნსა და წიგნიერებას აქვს ხალხის ცხოვრებაში ოდითგანვე. აღინიშნა, რომ ყველამ ერთად უნდა მოვნახოთ ის საიმედო გზა, რომლითაც წიგნისადმი ინტერესი გაუძლიერდება მომავალ თაობას.

ძალზე საინტერესოდ ისაუბრეს სასულიერო პირებმა, დეკანოზმა თომამ (ლაცაბიძე) და დეკანოზმა პავლემ (ცერცვაძე).

წაკითხულ იქნა ლექსები, ნაწყვეტები პროზაული თხზულებებიდან, გამახვილდა ყურადღება რამდენიმე ახალგამოცემულ წიგნზე, რომელთა წაკითხვაც ნამდვილად გააძლიერებს თითოეული ჩვენგანის მოტივაციას.

აღსანიშნავია, რომ წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე 2010 წლიდან ყოველწლიურად მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება, რომელთა რიგებს საქართველო ექვსი წელია, შეუერთდა.

სამწუხაროდ, ქვეყანაში არსებული ეპიდვითარების გამო, ღონისძიების მასშტაბურად აღნიშვნა ვერ მოხერხდა.

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების ლიმიტი გაიზარდა

4 თებერვალს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს. აღსანიშნავია ის ცვლილებები, რომლებიც სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დამხმარების გაცემის წესში შევიდა. კერძოდ, ჰემოდიალიზით მოსარგებლე ბენეფიციარების დაფინანსება გაიზარდა 150 ლარამდე; ლეიკემიით დაავადებულების - წელიწადში ერთხელ-600 ლარამდე; სამამულო ომის მონაწილეების, უსინათლო მოქალაქეების, დევნილი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 30 ლარი გახდა. გარდა ამისა, სოციალურად დაუცველი და პანდემიით დაზარალებული მოქალაქეებისათვის გაიცემა ასევე ერთჯერადი დახმარების 100-დან 500 ლარის ფარგლებში.

საკრებულოს სხდომაზე მოისმინეს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში, რომელიც სამსახურის უფროსმა კახა გოლუბიანმა წარმოადგინა. ბ-ნ კახამ ვრცლად ისაუბრა საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ მნიშვნელოვან საკითხებზე და დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებსაც ამომწურავი პასუხები გასცა. მისი თქმით, უახლოეს მომავალში ადმინისტრაციულ სამსახურს დაემატება -„ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის“ განყოფილება.

ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში დადებითად შეფასდა.

საკრებულოს წევრები ასევე გაეცნენ ინფორმაციას კოვიდპანდემიის პირობებში გატარებული ღონისძიებების შესახებ და კორონავირუსის სტატისტიკას. ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის, შმაგი ნიჯაკაძის, ინფორმაციით, რეგულარულად ხდება რისკ ჯგუფში შემავალი ადამიანების ტესტირება და სასიხარულოა, რომ ამ ეტაპზე ინფიცირებულთა რაოდენობამ იკლო და ისე როგორც საქართველოს მასშტაბით, ხარგაულშიც ვირუსის ახალი შემთხვევები შემცირებულია.

მარიამ შარიძაძე

ბიუროს სხდომაზე გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმა განიხილეს

15 თებერვალს გამართულ ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმა განიხილეს, რომელიც მერის თანაშემწემ გენდერული თანასწორობის საკითხებში ინგა ბერაძემ წარადგინა და აღნიშნა, რომ 2021 წლის სამოქმედო გეგმის მთავარი მიზანი ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაა. ინგა ბერაძის განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ წელს დაიგეგმება გენდერული ბიუჯეტი და გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის.

მომხსენებელმა გასულ წელს განხორციელებულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა პროექტში.

საუბარი შეეხო ასევე, პანდემიის პერიოდში ონლაინ შეხვედრების საკითხს, რომლის მიზანი გახლდათ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, ინსტიტუციური მექანიზმების განვითარება და დახვეწა.

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული გახლდათ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა. მიმდინარე წელს დაფიქსირდა პირველი ბენეფიციარი, რომელიც აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს.

აქვე გეტყვით, რომ ხარაგაულის მერიის ვებგვერდზე განთავსდა ბმული „გენდერული თანასწორობის საბჭო“, სადაც შეგიძლიათ გაეცნოთ ინფორმაციას საბჭოს შესახებ, საბჭოს წევრების, ოფიციალური დოკუმენტების, საბჭოს სხდომის ოქმების, ახალი ამბების, სამოქმედო გეგმის, ანგარიშისა და გენდერული სტატისტიკის შესახებ.

თამარ მაღრაძე

წყალაფორეთში ახალი სკოლა აშენდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალაფორეთში ახალი საჯარო სკოლა აშენდება. ეს ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისგან მოვიპოვეთ. როგორც კობა ლურსმანაშვილი განმარტავს, თავიდან დაიგეგმა, რომ მომხდარიყო შენობის სრული რეკონსტრუქცია, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობა და ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი აქტიურად აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რათა შეცვლილიყო პროექტი და სოფელში აგებულიყო სკოლის ახალი შენობა.

„ცოტა ხნის წინ შედგა საუბარი მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორთან, ბატონ გიორგი შენგელიასთან, რომელშიც უშუალოდ იყო ჩართული საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე და ჩვენ ერთობლივად მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ გამოყოფილი 1 800 000 ლარი მოხმარდეს ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლის მშენებლობას. ეს ძალიან სასიხარულო ამბავია და მინდა, მივულოცო წყალაფორეთის მოსახლეობას“, აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

წასვლიდი ჩუმად, უსმაურო...

(გონერი ლომიძის ხსოვნას)

კიდევ ერთი ღირსეული კაცი გამოაკლდა ხარაგაულის საზოგადოებას და შეუერთდა მარადისობას...

გონერი ლომიძე თავისი კაცურკაცობით, სიწმინდე-პატიოსნებითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეული ოჯახით, ადამიანებთან ურთიერთობის სითბოთი და კულტურით ნამდვილად ღირსეული წევრი იყო ხარაგაულის საზოგადოებისა.

ძნელად თუ მოიძებნება ჩვენ ირგვლივ ოჯახი, რომელსაც გონერი ლომიძის ფოტოხელოვნებით არ დარჩენია ოჯახის წევრის უკანასკნელი სახსოვარი - გადიდებული სურათი, რომელსაც ხშირად უსასყიდლოდ უმზადებდა მეგობარ - ახლობელსა თუ ეკონომიურად შეჭირვებულთ.

იშვიათია, არ იყოს ოჯახში საბავშვო ბაღის, სამუსიკო სკოლის, საშუალო ან საჯარო სკოლის დამთავრების აღმნიშვნელი ფოტოალბომები, წლების შემდეგ მონატრებულ კურსდამთავრებულთა ბედნიერი შეხვედრის ფოტოები, თუ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თვალსაჩინო ეპიზოდები, მის მიერ ფოტოობიექტივში მოქცეული.

გონერი ლომიძე წლების განმავლობაში იყო რაიონული გაზეთის ფოტოკორესპონდენტი და ამით თავისი ხელწერა დატოვა ხარაგაულის მატიანეში.

71 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან გონერი ლომიძე - ჩვენი ბუღალტრის, მანანა ტოროშელიძის, გულისხმიერი მეუღლე, ღვთისმოსავი ორი უგანათლებულესი პიროვნების - დეკანოზ დავითისა და ბერ-დიაკონ ეფრემის (გივი ლომიძე) მშობელი. კარგი მამა, მამამთილი, ოთხი შვილიშვილის უსათნოესი ბაბუა...

პანდემიის მიუხედავად, ბოლო გზაზე დიდძალმა საზოგადოებამ გაგაცილა. განსაკუთრებით შეინიშნებოდა სასულიერო პირთა სიმრავლე.

როგორც დიდი რუსთველი ბრძანებს: „ჩვენ უფრო გვტკივის იგი, ვინ დაგვაკლდა სწორად თავისა“. ამ ტკივილს მალამოდ ედება გონერი ლომიძის მიერ შრომითა და პატიოსნებით განვლილი გზის გახსენება.

გვწამს, მისგან გამოვლენილი ღვთიური მადლის ძალით მისი ხსოვნის ვარსკვლავი სულ იკაშკაშებს, ხოლო თვითონ კი იქ დაიმკვიდრებს მარადიულ სავანეს, სადაც მართალნი განისვენებენ!

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12